



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
---	---	---

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

2223874				
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე		0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

				ngujaraidze@greenalt.org irmamakhataidze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		მარშალ გელოვანის #6, 0159, თბილისი
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი(საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
------------------------	---

2 470 101; 2 378 009				info@mepa.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი		პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა	

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2020 წლის 17 მარტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. მიღებული გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა რომ სს“ ონის კასკადმა“ არ უზრუნველყო პროექტის ადამინების ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხოებისათვის შესამოწმებლად კანონით სავალდებულო კვლევების ჩატარება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი ნაცვლად იმისა, რომ უარი ეთქვა პროექტზე დადებითი გადაწყვეტილების გაცემაზე, განხილვის პროცესში დაშვებული არაერთი კანონდარღვევით გასცა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და დაავალა ნებართვის მფლობელს, პოსტ ფაქტუმ, იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, **რათა განსაზღვრულიყო პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონე და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები.** ამასთანავე, გასაჩივრებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას უხეშად იყო უგულებელყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

ამდენად, „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვის/განხორციელების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 5 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი მუერნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სს „ონის კასკადის“ განცხადება 2018 წლის 19 თებერვალს ონის მუნიციპალიტეტში, „ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე. განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა წარედგინა საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „გამა კონსალტინგისათვის“ არაუგვიანეს 2018 წლის 9 თებერვლისა.

მტკიცებულება - დანართი #1. [სს „ონის კასკადის“ განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე](#)

2. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 20 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი მუერნეობის სამინისტრომ სს „ონის კასკადს“ გაუგზავნა შენიშვნები საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე.

მტკიცებულება - დანართი #2. [გარემოს დაცვისა და სოფლის მუერნეობის მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის N1442/01](#)

3. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 5 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი მუერნეობის მინისტრს და აცნობა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან საქმიანობის განსახორციელებლად ნებართვის (ამჟამად - „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების“) მოპოვების ახალი წესები მოქმედებს, დაგეგმილი საქმიანობების განმახორციელებლები და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ზოგ შემთხვევაში, კვლავ ხელმძღვანელობდნენ ძველი, უკვე ძალადაკარგული ნორმებით.

დეპარტამენტი, 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ, კვლავ ხელმძღვანელობდა ძალადაკარგული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით და სამინისტროს ვებ-გვერდზე ათავსებდა 2017 წლის ნოემბერში, დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში საქმიანობების განმახორციელებლების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს. შედეგად, მოქმედი კანონით - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ - მოთხოვნილი პროცედურების დარღვევით, სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იყო, სულ მცირე, 54 განცხადება. განცხადებები ეხებოდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ მასშტაბურ საქმიანობებს, მათ შორის - ონის ჰესების კასკადს.

მტკიცებულება - დანართი #3. [მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 5 თებერვლის წერილი](#)

4. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 18 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მუერნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის პროცესის დაწყების თაობაზე. განცხადებაზე თანდართული „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების“ თანახმად, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა გრიგოლ კაკაურიძემ 2019 წლის 15 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მუერნეობის მინისტრს ლევან დავითაშვილს განსახილველად წარუდგინა „სს „ონი კასკადი“-ს 13.02.2019 წლის N15 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, 206.1 მვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების საკითხს“.

მტკიცებულება - დანართი #4. [2019 წლის 18 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მუერნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება](#); დანართი #5. [სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 15 თებერვლის წერილი](#);

5. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 12 ივლისს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილია სს „ონი კასკადის“ გენერალური დირექტორის, ლაშა იორდანიშვილის მოთხოვნა ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისათვის აგდ-ს დამტკიცების მოთხოვნა - ნებართვის გაცემის I სტადია.

მტკიცებულება: დანართი #6. - [სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში შესული კორესპონდენციის რეესტრი](#);

6. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 21 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა შენიშვნები და კომენტარები ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

მტკიცებულება: დანართი #7. - [მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე](#) ;

7. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 25 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება სათაურით „ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი“. განცხადებაში აღნიშნული იყო რომ“ სამინისტრომ პროექტის სიღრმისეული განხილვისა და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (N1678/01), გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის 2019 წლის 25 აპრილამდე გაგრძელების შესახებ. 2019 წლის 22 თებერვლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (N 36-04) ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 25 აპრილამდე. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 19 აპრილამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge“

მტკიცებულება: დანართი #8. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება](#);

8. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 28 მარტს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი, სს „ონი კასკადის“, მდინარე რიონზე, 206.1 მვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-283 ბრძანებით შეიქმნა საექსპერტო კომისია. საექსპერტო კომისიას დაევალა, საექსპერტო კომისიის წევრთა ცალკეული საექსპერტო დასკვნების შეჯერების საფუძველზე, ბრძანების ძალაში შესვლიდან 20 დღის ვადაში, საექსპერტო კომისიის დასკვნის წარდგენა.

მტკიცებულება: დანართი # 9. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 მარტის N2-283](#);

9. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 31 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სამინისტროში დაცული სრული დოკუმენტაციის ასლი. როგორც ჩვენი მოთხოვნის პასუხად მოწოდებული განმარტებიდან შევითქვით,

გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. განმარტებით გვეცნობა: „2019 წლის 15 თებერვალს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა სს „ონი კასკადის“ „მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი თანდართული დოკუმენტაციით. პროექტის სირთულის გათვალისწინებით და საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნებიდან გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა **2019 წლის 25 აპრილამდე. 2019 წლის 17 ივნისის წერილით**, სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ეცნობა, რომ სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ კომპანიის მხრიდან დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას. შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა **2019 წლის 20 სექტემბრამდე**. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №1932 განკარგულებით, მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა **2019 წლის 18 დეკემბრამდე** (იხ. დანართი). დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული დოკუმენტაცია ამ ეტაპზე სამინისტროში არ წარმოუდგენია“.

მტკიცებულება: დანართი #10. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 13 სექტემბერის წერილი;](#)

10. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 9 დეკემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე კვლავ გამოქვეყნდა განცხადება სათაურით „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი“. განცხადებაში აღნიშნული იყო:

“დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2019 წლის 18 დეკემბრამდე**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

დაინტერესებულ საზოგადოებას ეცნობა, რომ სს „ონი კასკადმა“ **2017 წლის 27 დეკემბერს სამინისტროში საჯარო განხილვის მიზნით** წარმოადგინა „მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის (ონი 1 ჰესი 122.4 მგვტ; ონი 2 ჰესი 83.8 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით (<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/53>).

2019 წლის 15 თებერვალს (წერილი N04/238, <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/11399>) სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით,

სამინისტროში წარმოადგინა სს „ონი კასკადის“ „მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი თანდართული დოკუმენტაციით. პროექტის სირთულის გათვალისწინებით და საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნებიდან გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა 2019 წლის 25 აპრილამდე (<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/11416>).

2019 წლის 17 ივნისს (N 6081/01), სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ეცნობა, რომ სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც **საჭიროებდნენ კომპანიის მხრიდან დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას.** შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა 2019 წლის 20 სექტემბრამდე (ბრძანება N101-04).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №1932 განკარგულებით, მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 18 დეკემბრამდე (განკარგულება N1932“).

მტკიცებულება: დანართი #11. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება;](#)

11. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 9 დეკემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე კვლავ გამოქვეყნდა განცხადებით გამოქვეყნდა სამინისტროს **2019 წლის 17 ივნისის** წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „ონი კასკადს“. წერილში აღნიშნული იყო, რომ „სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ კომპანიის მხრიდან დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას, კერძოდ:

1. ონი 2 ჰესის დამბის მოწყობის უბანზე მდ. ჯეჯორის და რიონის შესართავთან, ს. კომანდელის ტერიტორიაზე **შეტბორვის ზონა აღწევს მდ. რიონის ხეობის მარცხენა ფერდობის ძირამდე, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვანი მეწყრული სხეულის დაბოლოებას, რომელიც აქტიურ დინამიკაშია.** წყლის დონის აწევა და მდინარის ჰიდროდინამიკური რეჟიმის ცვლილება გამოიწვევს აღნიშნული მეწყრული სხეულის კიდევ უფრო გააქტიურებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ს. კომანდელის ტერიტორიაზე არსებული მეწყრული სხეულის დეტალური კვლევის წარმოდგენა შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად;
2. გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით მდ. რიონის მარჯვენა ფერდობზე, ს. ხურუთის ტერიტორიაზე, ონი 2 ჰესის **საპროექტო გვირაბის პორტალი და ღერძი გადის ძველი და დღესაც აქტიური მეწყრული ბლოკის არეალში.** მეწყრული ზონა მოიცავს ონი-ამბროლაურის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთს. აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს მეწყრული ბლოკის გავრცელების არეალში განხორციელებული დეტალური კვლევები და მის საფუძველზე შემუშავებული დამცავი ღონისძიებები.
3. გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ჰიდროგეოლოგიური კვლევა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწისქვეშა წყლების რეჟიმის ცვლილებებისა და მათზე ზემოქმედების შესახებ, არსებული წყალგამოვლინებების (მათ შორის მინერალური წყლების) და მათი მაჩვენებლების შესახებ. გზმ-ის ანგარიშში ასევე, აღწერილი უნდა იყოს დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების არსებული წყაროები (მათ შორის, სეზონური

ცვალებადაც), შესაძლო ზეგავლენა თითოეული შემთხვევისთვის (საჭიროების შემთხვევაში). **ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებები თუ როგორ მოხდება მოსახლეობის ალტერნატიული წყალმომარაგება არსებული წყაროების დებიტის ცვლილების ან მისი დაკარგვის შემთხვევაში.**

4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდინარე რიონის ჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე სანაყაროების მოწყობისას მაქსიმალური წყლის ხარჯების (1%-იანი მაინც) და მისი შესაბამისი ღონეების შესახებ.

5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს:

- ჰესების კასკადის სამშენებლო არეალის გეოდინამიკური პროცესების რუკა პოტენციური მეწყერსაშიში უბნების ჩვენებით/გამოყოფით.
- სადაწნეო-სადერივაციო გვირაბების გასწვრივ ფილტრაციული გამოვლინებების მონიტორინგის პროგრამა.
- სალექარების გარეცხვის რეჟიმები და ამ პერიოდში იქთიოფაუნისადმი მიყენებული შესაძლო ზიანის შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებები.
- უწერას მინერალური საბადოს მკვებავი არეალის საზღვრებში გამავალი სადაწნეო გვირაბის დამატებითი ჰიდროსაინჟინერო-გეოლოგიური რუკა.
- სადერივაციო გვირაბების გრძელ ჭრილებზე საინჟინერო-გეოლოგიური პირობები - ქანების მონაცვლეობა, გამოვლენილი ტექტონიკური ბზარები და რთვევები შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.
- ელექტროსადგურების ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშებები ბუნებრივი მოდინების, მდინარიდან ასაღები წყლის, ეკოლოგიური ხარჯისა და გადაღვრილი წყლის მოცულობების ჩვენებით.
- დეტალური ინფორმაცია ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯის დადგენის მეთოდოლოგიის (ცხრილის სახით, თვეების მიხედვით) შესახებ.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილს:

- დოკუმენტში არ არის სრულყოფილი ინფორმაცია ფლორაზე ზემოქმედების შესახებ. არ არის ინფორმაცია მოსაჭრელი ხეების მოცულობაზე; არ ჩანს კონკრეტულად რომელი სახეობები მოექცევა ზემოქმედების ქვეშ ტერიტორიის დატბორვისას. არ არის წყლის ღონის კლების შედეგად რა ზემოქმედება იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე, მათ შორის ჭალის ტყეებზე, იქ არსებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებზე;
- ფაუნის კვლევის შედეგებში მითითებულია, რომ „შეიძლება შეგვხვდეს“ ესა თუ ის სახეობა და არა დაზუსტებული ინფორმაცია. მონაცემების დიდი ნაწილი ეყრდნობა ლიტერატურულ წყაროებს (მაგ: წავი, ხელფრთიანები და ა.შ). გზშ-ის ანგარიშში მოცემულია მხოლოდ 2018 წლის შემოდგომაზე (ერთ სეზონზე) ჩატარებული ფაუნის კვლევა, რაც არ არის საკმარისი საპროექტო ტერიტორიაზე სახეობების და მათი საბინადრო გარემოს აღსაწერად და ზემოქმედების გამოსავლენად; დოკუმენტში მითითებულია, რომ ონი 1 ჰესის გვირაბი კვეთს რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის გეგმარებით დაცულ ტერიტორიას, თუმცა, არ არის განხილული პროექტის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება აღნიშნულ ტერიტორიაზე; არ არის ინფორმაცია წყალგამყვანი გვირაბის ბურღვა-აფეთქების მეთოდის გამოყენების შედეგად გვირაბის განთავსების ტერიტორიაზე არსებულ სახეობებზე ზემოქმედებაზე, შემარბილებელ, ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- არ არის მოცემული იქთიოფაუნის კვლევის მასალები; არ არის დასაბუთებული შერჩეული თევზსავალი ნაგებობების („გასავლელი აუზების ტიპის თევზსავალის“) მიზანშეწონილობა; არ არის მოცემული ინფორმაცია მდ. რიონის „კრიტიკულ წერტილებზე“ (ხმელეთის კუნძული, სადაც წყლის შემცირება გამოიწვევს იქთიოფაუნის გადაადგილების საშუალების დაბლოკვას; გაშლილი დინება, სადაც ისედაც თხელი წყლის ნაკადის კიდევ უფრო კლება მოხდება და ა.შ) ზემოქმედებაზე ქმედითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები.

- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია (წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი სახის ინფორმაცია) და შესაბამისი დასაბუთება, მათ შორის მდ. რიონზე არსებული ჰესების ოპერირების და დაგეგმილი ჰესების კასკადის მშენებლობით წყლის შემცირების გამო ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით; წყლის საკითხის კუმულაციური განხილვა მდ. რიონზე მნიშვნელოვანია, რადგან ნებისმიერმა ზემოქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მდ. რიონში არსებულ ზუთხისებრთა სახეობებზე, სწორედ ამიტომ მდ. რიონი დაცულია ბერნის კონვენციის ზუთხის კონსერვაციის პან-ევროპული პროგრამით.
- არ არის აღწერილი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება -ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული წყლის ნაკადის შემცირებისა და დარჩენილი წყლის ხარჯის ბიომრავალფეროვნების არსებობისთვის საკმარისობის შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია.
- გზშ-ის ანგარიში მოიცავს ტექნიკურ და მექანიკურ უზუსტობებს, “ონი 2 ჰესის ოპტიმალური დადგმული სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 82 მგვტ-ს (გვ.58)”, თუმცა პროექტის მიხედვით ონი 2 ჰესის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 83.8 მგვტ-ს, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას.
- გზშ-ის ანგარიში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჰესისა და მისი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის მოსახლეობასთან დაშორების შესახებ (დასახლებული პუნქტის მითითებით, ცხრილის სახით) კონკრეტული მანძილების მითითებით.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სეისმური კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანიზაციის დასკვნასთან ერთად.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

მტკიცებულება: დანართი #12. - [სამინისტროს 2019 წლის 17 ივნისის N6081/01 წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „ონის კასკადს“;](#)

12. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 27 დეკემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე კვლავ გამოქვეყნდა განცხადება სათაურით „ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი“. განცხადებაში აღნიშნული იყო:

“2019 წლის **3 დეკემბერს** (წერილი N04/2165, <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17196>) სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა სს „ონი კასკადის“ „მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ გზშ-ის პროექტის თანდართული დოკუმენტაცია. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2632 განკარგულებით, მშენებლობის ნებართვის აღმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 18 მარტამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2020 წლის 27 თებერვლამდე**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge”.

განცხადებას თან ერთვოდა წერილი N04/2165 დანართის (ანუ დამატებით წარდგენილი დოკუმენტების) გარეშე და განკარგულება N2632.

მტკიცებულება: დანართი #13. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება;](#)

13. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 13 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება სს „ონი კასკადის“, მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 მარტის N2-283 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ბრძანების თანახმად, „სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იყო მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, 2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-283 ბრძანებით შეიქმნა საექსპერტო კომისია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სამინისტროს მოთხოვნით, სს „ონი კასკადს“ დაევადა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა. კომპანიის მიერ წარმოსადგენი დამატებითი ინფორმაციის და დოკუმენტაციის, ასევე წარმოდგენილი პროექტის სირთულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2632 განკარგულებით ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 მარტამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 მარტის N2-283 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და საექსპერტო კომისიას დაევალოს დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის განხილვა და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა 2020 წლის 27 თებერვლამდე“.

მტკიცებულება: დანართი #14. - [საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-24 ბრძანება;](#)

14. ფაქტობრივი გარემოება

საექსპერტო კომისიის წევრი - ქრისტინა კოროშინაძე, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავის დასკვნაში წერს: „მიზანშეწონილად მიმაჩნია პროექტის განხორციელებით გამოწვეული წყლის ნაკადის შემცირებისა და დარჩენილი წყლის ხარჯის საკმარისობის საკითხი (მათ შორის კუმულაციური ზემოქმედების საკითხი), ბიომრავალფეროვნების არსებობა-შენარჩუნების თვალსაზრისით, განხილულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის მიერ“. საგულისხმოა, რომ ექსპერტის ამ რეკომენდაციის მიუხედავად, სამინისტროს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტი პროცესში არ ჩაურთავს.

მტკიცებულება: დანართი #15. - [საექსპერტო დასკვნა მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ს ანგარიშის ბიომრავალფეროვნების ნაწილზე, 04.03.2020;](#)

15. ფაქტობრივი გარემოება

საექსპერტო კომისიის წევრი - მალხაზ მიმინოშვილი, ინჟინერი, თავის დასკვნაში წერს: „მდ. რიონზე ონის ჰესების ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსის მშენებლობა და ექსპლუატაცია რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას

გარემოზე არ მოახდენს“ და „გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა ონის ჰესების კომპლექსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის განსახორციელებლად დასაშვებად მიმაჩნია სავალდებულო პირობების (პუნქტები ა ÷ დ) შესრულებისა და გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში“.

ექსპერტის მოსაზრებით პროექტის განხორციელების სავალდებულო პირობებია:

- „ა) წარმოდგენილ იქნეს ჰესების კასკადის სამშენებლო არეალის გეოლინამიკური პროცესების რუკა პოტენციური მეწყერსაშიში უბნების გამოყოფით;¹⁾
- ბ) წარმოდგენილ იქნეს სადაწნეო-სადერივაციო გვირაბების გასწვრივ ფილტრაციული გამოვლინებების ფონური მდგომარეობა და მონიტორინგის პროგრამა;²⁾
- გ) დამუშავებულ და წარმოდგენილი იქნეს უწერას მინერალური საბადოს მკვებავი არეალის საზღვრებში გამავალი სადაწნეო გვირაბის დამატებითი ჰიდროსაიზოლაციო ღონისძიებები;³⁾
- დ) დაზუსტდეს წყალმომარებები (სარწყავი, სასმელ-სამეურნეო, სამრეწველო) და წყალაღებები სათავე ნაგებობების ქვემო ბიეფებში და წარმოდგენილ იქნეს ოფიციალური ცნობები და შეთანხმებები დაინტერესებულ უწყებებთან (შპს საქართველოს მელიორაცია~, ადგილობრივი გამგებები) ქვემო ბიეფებში დაგეგმილი წყალგაშვების შესახებ.⁴⁾

კომენტარები:

პასუხების ცხრილის 3.4 _ პასუხი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია, **არ არის მოცემული წყლის დონეები;**

1) პასუხების ცხრილის 3.5.1 _ პასუხი გასაგებია, თუმცა მითითებულ დანართში არ არის მოცემული გრაფიკული მასალა (მხოლოდ ნუსხა და თავფურცლებია);

2) პასუხების ცხრილის 3.5.2 პასუხი არასრულია _ ონი ჰესი 1-ის და ონი ჰესი 2-ის მიმყვანი გვირაბები სადაწნეოა, რომლებშიც დაწნევა იცვლება 12.5მ-დან 165.5მ-მდე (ონი ჰესი 1) და 8.5-დან 180მ-მდე (ონი ჰესი 2). ყოველკვარტალური მონიტორინგი გასაგებია, თუმცა **წარმოდგენილი უნდა იქნეს ფონური მდგომარეობა (ე.წ. `ნულოვანი ციკლი~) და მონიტორინგის მეთოდოლოგია;**

პასუხების ცხრილის 3.5.3 _ პასუხი მისაღებია (**საჭიროა იქტიოლოგიის დასკვნაც**);

3) პასუხების ცხრილის 3.5.4 _ პასუხი არ არის მისაღები, მიმყვანი გვირაბი სადაწნეოა (12.5-165.5მ), ხოლო მისი მოსახვის რკინაბეტონის ანაკრები სეგმენტები ვერ უზრუნველყოფენ ფილტრაციის აღკვეთას. დამატებითი ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება საბადოს კვების დადგენილ არეალში აუცილებლად მიმაჩნია;

პასუხების ცხრილის 3.5.5 _ იხ. 3.5.1-ის კომენტარი;

პასუხების ცხრილის 3.5.6 _ პასუხი მისაღებია;

4) პასუხების ცხრილის 3.5.7 _ პასუხი არ არის სრულყოფილი, **აღნიშნულია, რომ კამხლების ქვედა ბიეფებში არ არის წყალმომარებლები, თუმცა სათანადო წერილები არ არის წარმოდგენილი;**

პასუხების ცხრილის 3.5.8 _ პასუხი მისაღებია ტექნიკური თვალსაზრისით, **თუმცა აუცილებელია სხვა სპეციალისტების (იქტიოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვ.) მოსაზრება“.**

მტკიცებულება: დანართი #16. - [საექსპერტო დასკვნა და კომენტარები მდ. რიონზე ონის ჰესების მშენებლობისა და ფუნქციონირების ეტაპებზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებით წარმოდგენილ მასალებზე, მალხაზ მიმინოშვილი, 04.03.2020;](#)

16. ფაქტობრივი გარემოება

საექსპერტო კომისიის წევრი - ოთარ ქურციკიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების ჯგუფის უფროსი, თავის დასკვნაში წერს: „შპს „ჯეოინჟინერინგი“-ს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ონი-1 და ონი-2 ჰესების ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასების თვალსაზრისით. აღნიშნული ანგარიში მთლიანობაში მისაღებია სახელმძღვანელოდ, **თუმცა ვერ დავეთანხმებით ს. კომანდელთან დაკავშირებით მოცემულ ინფორმაციას, კერძოდ:** როგორც ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, ს. კომანდლის ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი მეწყერული სხეულის დაბოლოებას და მათ მიერ შეტბორვის ზონის

მიმდებარედ დაფიქსირებულია მხოლოდ მცირე ზომის, ლოკალურ მეწყერები (A17, A18; S5; A30 და ა.შ). გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ, სოფლის ტერიტორიაზე ჩატარებული გეომონიტორინგული კვლევების მიხედვით, **ს. კომანდლის დასახლებული უბანი და მიმდებარე ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდებარეობს ერთიან ძველმეწყერულ სხეულზე, რომლის ცალკეული უბნები აქტიურ დინამიკაშია, რის გამოც ზიანდება საცხოვრებელი სახლები, ეგზ-ს ანძები, სავარგულები და შიდასასოფლო გზის ცალკეული მონაკვეთები.** 2012 წლიდან დღემდე, სოფლის ტერიტორიიდან გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანას დაექვემდებარა 5 ოჯახი. მათ გარდა მეწყერული პროცესები საშიშროებას უქმნის 20-მდე საცხოვრებელ სახლს. შეტბორვის ზონა აღწევს აღნიშნული ძველმეწყერული სხეულის ძირამდე“.

„სოფ. უწერის მიწისქვეშა მინერალურ და მტკნარ სასმელ წყლებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: ცნობილია, რომ ონის მუნიციპალიტეტის სოფ. უწერაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ფუნქციონირებდა ცნობილი უწერას სანატორიუმი, რომელიც კლიმატურ-ბალნეოლოგიურ დაწესებულებას წარმოადგენდა. დღეს მას კურორტ უწერად მოიხსენიებენ, რომლის განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ბუნებრივი ნახშირმჟავა მინერალური წყლების არსებობა წარმოადგენს. ზოგადად, ნახშირმჟავა მინერალური წყლების გენეზისი/ფორმირება ქანების ინტენსიურ დანაპრალიანებასა და ტექტონიკურ რღვევებს უკავშირდება, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი განსახილველ ტერიტორიაზეც. **უწერის მინერალური წყლის საბადო სამ შედარებით მსხვილ ტექტონიკურ ერთეულთან - მესტია-თიანეთის ფლიშური ზონის შოვი-ფასანაურის ქვეზონის, ჩხალთა-ლაილაშის ჩხალთის ქვეზონის და დიდი კავკასიონის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონის ჩრდილოეთ ქვეზონასთან არის დაკავშირებული. წყალშემცველი ჰორიზონტების როგორც ბუნებრივი (წყარობები), ასევე, ხელოვნური გამოსავლებიც (ჭაბურღილები) სამ მსხვილ ჰიდროგეოლოგიურ რაიონს - სვანეთის ნაპრალო წყალწნევიან სისტემას, მესტია-თიანეთის ნაპრალო და ნაპრალო-კარსტულ წყალწნევიან**

სისტემას და რაჭა-ლეჩხუმის ნაპრალო და ნაპრალო-კარსტული წყლების არტეზიულ აუზს უკავშირდება. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, **დასახლებული სამივე ჰიდროგეოლოგიური რაიონის გავრცელების ფარგლებში თავსდება მდ. რიონზე, ონის ჰესების კასკადის ონი - 1 ჰესთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა.**

„ონის ჰესების კასკადის გავლენის ზონაში ჩატარებული დამატებითი ჰიდროგეოლოგიური კვლევის შედეგები“-ს ანგარიშში, ავტორების მიერ აღწერილია უწერის მინერალური წყლის საბადოს ტერიტორიაზე გავრცელებული წყალშემცველი ჰორიზონტები და მითითებულია, რომ უწერის მინერალური წყლის საბადოს ფორმირება საბადოზე გავრცელებულ თითქმის ყველა გეოლოგიურ ფორმაციას უკავშირდება. აქვე, გზმ-ს ავტორების მიერ, აღნიშნულია, რომ: „ონი - 1 ჰესის წყლის გამყვანი გვირაბის სხეული გადაკვეთს რეგიონალურ, ღრმად გავრცელებულ ლახამულა-გომისა და სვანეთი-რაჭის რღვევების სიბრტყეებს და არსებობს თეორიული, მცირე ალბათობა იმისა, რომ გვირაბის გაყვანის შედეგად, შესაძლებელია მოხდეს ნაპრალოვან-ძარღვოვანი ცირკულირების მიწისქვეშა წყლების ფორმირების პირობების შეცვლა. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ გვირაბის გაყვანა მოხდება გვირაბგამყვანი მანქანით, რაც ბურღვა-აფეთქების მეთოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეამცირებს ქანების დანაპრალიანების რისკებს და შესაბამისად მიწისქვეშა წყლების ფორმირების პირობებზე ზემოქმედების რისკებს“.

ანგარიშის ავტორები ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მიწისქვეშა მტკნარ და მინერალურ წყლებზე უარყოფით ზეგავლენას არ გამორიცხავენ და რისკის შემარბილებელ ღონისძიებად გვირაბის გაყვანა გვირაბგამყვანი მანქანის საშუალებით სახელდება. **მართალია ბურღვა-აფეთქების მეთოდთან შედარებით, გვირაბგამყვანი მანქანა ზემოქმედებას შეამცირებს, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ გვირაბის გაყვანის შედეგად (ნებისმიერი მეთოდით) უპირობოდ შეიცვლება მიწისქვეშა წყლების (მტკნარი და მინერალური) ფორმირებისა და გავრცელების პირობები, რაც არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ საფუძველს გვაძლევს რისკის ქვეშ დადგეს სოფ. უწერას მინერალური წყლის საბადოს სამომავლოდ არსებობა/ფორმირება.**

როგორც ჩვენთვის ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს (კურორტის აქტიური ფუნქციონირების პერიოდი), უწერის მინერალური წყლის საბადოსთვის სათანადო კვლევების საფუძველზე დადგინდა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებით დამტკიცდა უწერის მინერალური წყლის საბადოს სანიტარული დაცვის ზონების საზღვრები (I, II, III). აღნიშნული საზღვრების მიხედვით, ონის ჰესების კასკადის ონი - 1 ჰესის წყლის გამყვანი გვირაბის სხეულის ძირითადი ნაწილი მეორე სანიტარული დაცვის ზონის საზღვრებში თავსდება. ამასთან, „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის (მეორე ზონა) მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მეორე სანიტარული ზონის საზღვრებში აკრძალულია „იმ ობიექტების მშენებლობა და გამოყენება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის კურორტის განვითარებასთან“.

მართალია, სოფ. უწერის მინერალური წყლების დეტალური შესწავლის მიზნით (მათ შორის, სამედიცინო დანიშნულებით გამოსაყენებლად), უახლესი კვლევები ჩატარებული არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უწერის მინერალური წყალი თავისი უნიკალური შემადგენლობით მსოფლიოში მეორე ადგილზე იყო (ერთია - საფრანგეთში - ვისის წყალი), ვფიქრობთ, სამომავლოდ მისი არსებობა მცირეოდენი რისკის ქვეშაც კი არ უნდა დავაყენოთ.

დამატებით, ცნობის სახით, აღვნიშნავთ, რომ 2018 წლის მაისის თვეში ჩატარებული აუქციონის შედეგად გაცემულია ლიცენზია ონის მუნიციპალიტეტში უწერის მინერალური წყლის შესწავლა- მოპოვების მიზნით, რომელიც ასევე ითვალისწინებს ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას.

რაც შეეხება მიწისქვეშა მტკნარ სასმელ წყლებს, მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები ანალოგიურად ვრცელდება მიწისქვეშა მტკნარ სასმელ წყალზეც, რომელიც წყაროების სახით განიტვირთება და ამჟამად სოფლების მოსახლეობა სასმელად იყენებს. „ონის ჰესების კასკადის გავლენის ზონაში ჩატარებული დამატებითი ჰიდროგეოლოგიური კვლევის შედეგები“-ს ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წყლის ხარისხის გაუარესების ან დებიტის შემცირების შემთხვევაში, სს „ონის კასკადი“ უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების ალტერნატიული წყალმომარაგების სისტემის მოწყობას“.

მტკიცებულება: დანართი #17. - [საექსპერტო დასკვნა მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილზე;](#)

17. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 17 მარტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გამოსცა ბრძანება „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ბრძანების თანახმად:

- „სს „ონი კასკადმა“ 2017 წლის 27 დეკემბერს სამინისტროში საჯარო განხილვის მიზნით წარმოადგინა „მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის (ონი 1 ჰესი 122.4 მგვტ; ონი 2 ჰესი 83.7 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. შესაბამისად, აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით“.

- „2019 წლის 15 თებერვალს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, სამინისტროში წარმოადგინა სს „ონი კასკადის“ „მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი თანდართული დოკუმენტაციით“.
- „გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, იგეგმება მდ. რიონზე, ორსაფეხურიანი ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის - ონი 1 ჰესი (122.46 მგვტ) და ონი 2 ჰესი (83.7 მგვტ) მშენებლობა და ექსპლუატაცია. კასკადის თითოეული საფეხურის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ნაგებობები:
 - o სათავე წყალმიმღები ნაგებობა.
 - o სადერივაციო-სადაწნეო სისტემა.
 - o ძალური კვანძი (ჰესის შენობა და ქვესადგური)“.
- **ონი 1 ჰესის** სათავე ნაგებობა მოეწყობა მდინარის კალაპოტის 1089 მ-ის ნიშნულზე, მდ. ჭანჭახის შესართავის ქვემო დინებაში, საიდანაც უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. გლოლა დაშორებულია 3.3 კმ-ით. ძალური კვანძის მოწყობა დაგეგმილია მდ. რიონის და მდ. საკაურას ზედა დინებაში. ძალურ კვანძზე წყლის მიწოდება მოხდება 12.5 კმ სიგრძის მიმყვანი გვირაბის საშუალებით. ონი 1 ჰესის პროექტით გათვალისწინებულია დაბალზღურბლიანი დამბის (8 მ.) მოწყობა. დამბის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბების (წყალსაცავის) წყლის სარკის ზედაპირის მაქსიმალური ფართობი იქნება 10 819 მ2, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 37 000 მ3. დამბის ზედა ბიეფში შეტბორილი მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით იქნება 380 მეტრი. ონი 1 ჰესის დამბის მოწყობა დაგეგმილია ალუვიურ დანალექ ქანებზე, წყალსაგდებისა და გამრეცხი რაბის ქვედა ბიეფში გათვალისწინებულია ჩამქრობი აუზის მოწყობა, რომლის სიგრძე შეადგენს 24 მ-ს. რეზერვუარის დაახლოებით 70%-მდე ნატანით შევსების დროს აუცილებელი იქნება მისი გარეცხვა წყალსაგდების საკეტების საშუალებით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ონი 1 ჰესის მიმყვანი გვირაბის ძირითადი ნაწილის (სიგრძე - 11 978 მ. 5.26 მ. დიამეტრი) გაყვანა დაგეგმილია გვირაბგამყვანი მანქანით (TBM), ხოლო 508 მ გაყვანილი იქნება ბურღვა-აფეთქების (D&B) მეთოდით. ძალური კვანძის განთავსება იგეგმება სოფ. ლაგვანთასთან ახლოს, საავტომობილო ხიდიდან (ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილი) 500 მ-ით ზემოთ. აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს კლდოვან ფერდობსა და არსებულ გზას შორის, სადაც განთავსდება მიწისზედა ძალური კვანძი, რომლის პარამეტრები შეადგენს: სიგრძე- 73.3 მ. სიგანე- 30.9 მ. სიღრმე სამანქანო დარბაზის ქვემოთ- 14.2 მ. სიმაღლე პირველი სართულიდან - 18.5 მ, ხოლო წყალგამყვანი მოეწყობა არსებული გზის საფარის ქვეშ ბეტონის კულვერტის მეშვეობით. ძალური კვანძის სიახლოვეს (მარჯვენა მხარეს) დაგეგმილია 220 კვ. ქვესადგურის მშენებლობა. ონი-1 ჰესის ძალური კვანძი აღჭურვილი იქნება 2 ერთეული პელტონის ტიპის ტურბინით. ონი 1 ჰესის სამშენებლო პერიოდი მოიცავს 4 წელს. ხოლო პროექტის სასიცოცხლო ციკლია 50 წელი.
- **ონი 2 ჰესის** სათავე ნაგებობა, რომლის სიმაღლე იქნება 9 მეტრი, მოეწყობა მდ. რიონის კალაპოტის 762 მ-ის ნიშნულზე, ქ. ონიდან 1.14 კმ-ით ქვედა დინებაში, სადაც უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. კომანდელი (0.64 კმ). წყალმიმყვანი გვირაბის (9.3 კმ) გაყვანა დაგეგმილია მდ. რიონის მარჯვენა ფერდობზე, რომელიც წყალს მიაწვდის სოფ. სორის სიახლოვეს მდებარე საპროექტო ძალურ კვანძს. ონი 2 ჰესის პროექტი ითვალისწინებს ბეტონის დაბალზღურბლიანი (9 მ.) დამბის მოწყობას მდინარის კალაპოტში, სადაც ასევე, მდინარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით მოეწყობა ქვანაყარი დამბა. ზედა ბიეფში შექმნილი წყალსაცავის წყლის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება (მაქსიმალური შეტბორვის პირობებში) დაახლოებით 93 511 მ2, ხოლო მოცულობა 374 000 მ3. გვირაბის გაყვანა დაგეგმილია გვირაბგამყვანი მანქანით, რომლის სიგრძე შეადგენს 9.2 კმ-ს, ხოლო დიამეტრი 7.2 მ (მოსახვის შემდეგ დიამეტრი იქნება 6.3 მ). გვირაბგამყვანი მანქანის შესასვლელსა და მიწის ზედაპირს შორის არსებული მონაკვეთის გაყვანა იგეგმება ბურღვა-აფეთქების მეთოდით, რომლის სიგრძე შეადგენს 73 მ-ს. ძალური კვანძის განთავსება იგეგმება სოფ. სორის (დაშორება 300 მ.) მიმდებარე ტერიტორიაზე. ძალური კვანძის სიახლოვეს (მოპირდაპირე მხარეს) დაგეგმილია 220 კვ. ქვესადგურის მშენებლობა, რომელიც მდებარეობს პოტენციური წყალდიდობის ნიშნულთან ახლოს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, დაგეგმილია ქვესადგურის განთავსების ბაქანის ამადლება ზღვის დონიდან 675 მ. ნიშნულამდე.

- წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ოთხი სამშენებლო ბანაკის მოწყობა, რომლებიც განთავსებული იქნება ძალურ კვანძებთან და სათავე ნაგებობების სიახლოვეს, ხოლო ორივე ჰესის გვირაბების TBM-ის ბაქნებზე მოეწყობა სამშენებლო მოედნები, რომელთა მომარაგება მოხდება ძალურ კვანძებთან მდებარე სამშენებლო ბანაკებიდან.
- „ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უფლებამოსილი ორგანოსგან რამდენჯერმე (3 ჯერ) იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის არსებობის და კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნების/წინადადებების წარმოდგენის მიზნით. 2020 წლის 10 მარტს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომ „ონი 1 ჰესის“ საპროექტო ტერიტორია კვეთს „უწერის“ ნახშირმჟავა მინერალური წყლის საბადოს მეორე (შეზღუდული რეჟიმის ზონა) სანიტარიული დაცვის ზონას. „უწერის“ მინერალური წყლის საბადოზე 2018 წელს, 25 წლის ვადით, შპს „ბი ჯი ინვესტიმენტზე“ გაიცა შესწავლა-მოპოვების ლიცენზია (№1005499). ამასთან „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულია მეორე ზონის საზღვრებში აკრძალული და დაშვებული სამუშაოების ჩამონათვალი. ასევე, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ კვეთს ქვიშა-ხრემის მოპოვების განაცხადის (ID 45849_1056) სალიცენზიო კონტურს, რომელზეც გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10000370 ლიცენზია 2022 წლამდე მოქმედების ვადით. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. ამასთან, სამინისტროში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 17 მარტის წერილით ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ენერგეტიკულ პროექტს“.

ასევე, ბრძანებით დადგენილი პირობების თანახმად:

- „4. სს „ონის კასკადმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჰესების კასკადის სამშენებლო არეალის გეოდინამიკური პროცესების რუკის (პოტენციური მეწყერსაშიში უბნების გამოყოფით) წარმოდგენა;
- 5. სს „ონის კასკადმა“ ჰესის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მეწყერულ სხეულზე (ს. კომანდელი) მდებარე საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის დეტალური შეფასება და ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უარყოფითი გავლენის შემთხვევაში განახორციელოს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს გავლენის არეალში მოხვედრილი მოსახლეობის განსახლება;
- 6. სს „ონის კასკადმა“ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს სოფელ კომანდელის მეწყერულ სხეულზე ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის მოწყობა სამინისტროსთან შეთანხმებით და მუდმივი მონიტორინგის წარმოება. მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა სამინისტროში უზრუნველყოს 6 თვეში ერთხელ;
- 7. სს „ონი კასკადმა“ კასკადის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ჰესის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების ვიზუალური მონიტორინგის წარმოება და მიღებული შედეგების 6 თვეში ერთხელ სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა;
- 8. სს „ონი კასკადმა“ კასკადის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ჰესის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სადაწნეო-სადერივაციო გვირაბების გასწვრივ ფილტრაციული გამოვლინებების ფონური მდგომარეობის და მონიტორინგის პროგრამის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
- 9. სს „ონი კასკადმა“ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით უწერას მინერალური საბადოს ზონაში არ დაუშვას ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლის

ხარისხობრივი ან რაოდენობრივი გაუარესება ან საბადოს ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე უარყოფითი ზემოქმედება;

10. სს „ონი კასკადმა“ უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყაროების ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის შედეგების წარმოდგენა სამინისტროში (წელიწადში ერთხელ). განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების ობიექტებზე და ჰესის ინფრასტრუქტურის ზეგავლენით მათი დებიტის შესაძლო შემცირების, ან დაკარგვის შემთხვევაში, **უზრუნველყოს მოსახლეობა ალტერნატიული წყალმომარაგებით;**

11. სს „ონი კასკადმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს იმ არელების X და Y კოორდინატების (shp-ფაილებით) დამატებით წარდგენა უფლებამოსილ ორგანოში, სადაც იზღუდება წიაღისეულით (ქვიშა-ხრეში, ქვიშაქვები და დიაბაზი) სარგებლობა ონი 2 ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე;

12. სს „ონი კასკადმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების (მათ შორის დროებითი სანაყაროების) დეტალური პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად;

13. სს „ონი კასკადმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს უწერას მინერალური საბადოს მკვებავი არეალის საზღვრებში გამავალი სადაწნო გვირაბის დამატებითი ჰიდროსაინჟინერინგო დონისძიებების შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;

14. სს „ონი კასკადმა“ კასკადის შემადგენლობაში შემავალი თითოეული ჰესის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნების/ბანაკების დეტალური პროექტის შემუშავება shape ფაილებთან ერთად და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება, ასევე თუ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები სავალდებულოა უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, სამინისტროსთან შეთანხმებული იქნეს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების“ პროექტი;

15. სს „ონი კასკადმა“ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლამდე სამინისტროში წარმოადგინოს მდ. რიონზე არსებულ ჰესებთან შეთანხმებით, დამატებით დეტალურ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია ჰესების ოპერირებით გამოწვეული მდ. რიონის წყლის რეჟიმის ცვლილებისა და მომატებული სიმღვრივის ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სადაც აისახება ჰესების ოპერირებით გამოწვეული ზემოქმედების, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო დონისძიებების შესახებ ინფორმაცია წყლის ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებით;

16. ზუთხების და წყლის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, დამატებითი კვლევების შედეგების გათვალისწინებით წყალსაცავების გარეცხვის რეჟიმი და პერიოდულობა უნდა შეთანხმდეს სს „ონი კასკადს და მის ქვედა ბიეფში არსებული ჰესების ოპერატორებს შორის. სს „ონი კასკადმა“ თითოეული გარეცხვის წინ უზრუნველყოს სამინისტროს წინასწარი ინფორმირება გაშვებული წყლის ხარჯის მითითებით.

22. სს „ონი კასკადმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად“.

მტკიცებულება: დანართი #18. - [„ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ \(ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ\), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება;](#)

18. ფაქტობრივი გარემოება

ჩვენი 2020 წლის 18 მარტის მოთხოვნის პასუხად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება და ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადმოგვცა 2020 წლის 7 მაისს, 2020 წლის 6 მაისით დათარიღებული N 4350/01 წერილით.

მტკიცებულება: დანართი #19. - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N4350/01 წერილი, დანართი წარმოების მასალები;](#)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1.1 სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

1.2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა მუშაუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის #2-191 ბრძანება, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე.

1.3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება.

2. განხილვის პროცესში დაშვებული კანონდარღვევები

2.1. ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 'გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების' გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი**. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის“ 48 მუხლის თანახმად, „2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით“.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ამ ნორმის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან როგორც წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ნათლად ჩანს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 15 თებერვლის №04/238 წერილის (დანართი 5.) საფუძველზე და ამის შესახებ არაერთ დოკუმენტში და მათ შორის გასაჩივრებულ აქტშია მითითებული.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს. კოდექსი აღგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების განხორციელებამდე, საქმიანობის ინიციატორის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ჩატარების, ასევე, ამ შეფასების საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. კოდექსში გაწერილი ეს პროცედურები სრულიად განსხვავდება კოდექსის ამოქმედებამდე, მისი წინამორბედის – „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით – დადგენილი პროცედურებისგან. კოდექსით შემოტანილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლედ განიხილება ის, რომ 10-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებს კვლავ შეუძლიათ გამოხატონ აზრი და მონაწილეობა მიიღონ ისეთი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღებით, საქართველომ, ერთი მხრივ, აღმოფხვრა კანონმდებლობის ის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელთა გამოც ხელისუფლება, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მუდმივი კრიტიკის ქვეშ იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ; მეორე, მხრივ, საქართველომ დაუახლოვა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის რამდენიმე დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვარს კი, დადგა ის დრო, როდესაც გარემოსდაცვით უწყებას საქმით უნდა დაემტკიცებინა, რომ ის მართლაც მზად იყო დაენერგა კოდექსით დადგენილი პროგრესული მიდგომები. თუმცა, პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ სამინისტრო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედების შემდეგაც ცდილობს უკვე ძალადაკარგული კანონით ნებართვების გაცემას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილებაა გასაჩივრებული ჩვენი სარჩელით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტი მართლაც ამბობს, რომ 2018 წლის 1 იანვრამდე (ანუ კოდექსის ამოქმედებამდე) ნებართვის გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები უნდა დასრულდეს წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედი წესების (ანუ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესების) შესაბამისად. რა თქმა უნდა, კოდექსის ეს გარდამავალი ნორმა ლოგიკურია და სამართლიანია. პრობლემა იმაშია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა 2018 წლის 1 იანვრამდე; საქმიანობის განმახორციელებელს არ მიუმართავს სამინისტროსთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თხოვნით. მიუხედავად ამისა, სამინისტრო თვლის, რომ ამ დაგვიანებული საქმიანობის მიმართ სამინისტროს უნდა გამოეყენებინა არა ახალამოქმედებული კოდექსის, არამედ „ძველი“ ნორმები. თავისი ამ პოზიციის გასამყარებლად სამინისტრომ ახალი თეორია შეიმუშავა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის, რა ეტაპზე იწყება გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება. კერძოდ, სამინისტროს მტკიცებით, გადაწყვეტილების მიღებისათვის

ადმინისტრაციული წარმოება ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში იწყება ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის მაძიებლის წერილობითი მოთხოვნის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისათვის განსახილველი დოკუმენტების ჯერ კიდევ მომზადების (საჯარო განხილვის) ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ეს თეორია სამინისტრომ მხოლოდ სადავო შემთხვევის მსგავსი გადაწყვეტილებების გასამართლებლად მოიგონა და მსგავსი 'მოსაზრება' არ გამოთქმულა „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონის მოქმედების 10 წლიანი მოქმედების ისტორიის განმავლობაში.

აღნიშნულს ადასტურებს ხშირ შემთხვევაში იგივე მოპასუხეების მონაწილეობით წლების განმავლობაში წარმართული არაერთი ადმინისტრაციულ უწყებებში, თუ სასამართლოში წარმართული დავა.

2.2. გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტის თანახმად, ამ კანონის ერთ-ერთი ამოცანაა: საქმიანობაზე ნებართვის გაცემის სფეროში საქმიანობის განმახორციელებლის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება და დაცვა.

კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები სრულად ეთმობა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სავალდებულოდ გასავლელ პროცედურებს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარსადგენად.

კანონის მე-6 მუხლის 1. ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო **გზმ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოეწყო მისი საჯარო განხილვა.**

2. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო გამოექვეყნებინა მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილი იყო საქმიანობის განხორციელება.

4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო:

ა) ბეჭდვით ორგანოში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარედგინა გზმ-ის ანგარიშის, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული ტექნიკური რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტური და ელექტრონული ვერსიები.

ბ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიეღო და განეხილა საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები;

გ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოეწყო გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) **გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყო შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევა.**

კანონის მე-7 მუხლის „გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების გაფორმება“ თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყო გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება. ოქმს ხელს აწერდნენ საქმიანობის განმახორციელებელი (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) და შესაბამისი ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები **(გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მათი დასწრების შემთხვევაში).**

ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმიანობის **განმახორციელებელი** ეცნობოდა საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს და ითვალისწინებდა მათ არგუმენტებს გზმ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო უზრუნველყო შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელს, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზმ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინა ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში). **ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები გზმ-ის ანგარიშის განუყოფელი ნაწილი იყო.**

მე-4 პუნქტის თანახმად, მხოლოდ გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და გზმ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, საქმიანობის **განმახორციელებელი უფლებამოსილი იყო ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოსათვის (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) ერთი წლის განმავლობაში, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარედგინა განცხადება ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღებასთან დაკავშირებით.**

მე-8 მუხლის „ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები“ თანახმად:

1. საქმიანობის განმახორციელებელი ნებართვის მისაღებად სამინისტროს წარუდგენდა წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადება წარედგინებოდა, განიხილებოდა და წარმოებაში მიიღებოდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იყო, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ინფორმაციის გარდა, **ნებართვის მიღების თაობაზე განცხადებასთან** ერთად წარედგინა:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზმ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით);
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
- გ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად);
- დ) ტექნიკური რეზიუმე და არატექნიკური რეზიუმე;
- ე) განცხადება წარედგინილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ.

ნათელია, რომ ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები მხოლოდ საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებაა და ასახავს **ნებართვის მიღების თაობაზე განცხადებასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების მომზადებისა და განცხადების წარდგენის ეტაპს - ანუ ეტაპს, როდესაც გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მოთხოვნა ჯერ არ არის წარდგენილი და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოში არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.**

ამავე კანონის მე-9 მუხლის „ნებართვის გაცემის წესი“ თანახმად:

1. სამინისტრო ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით **განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და „ლიცენზიებისა და**

ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში.

2. სამინისტრო, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ შესაბამის დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, რის საფუძველზედაც დგება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

3. ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

ამდენად, სამინისტროს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული წარმოება სს „ონის კასკადის“ 2017 წლის 27 დეკემბრის წერილის საფუძველზე, რომლითაც კომპანიამ სამინისტროს (როგორც ერთ-ერთი დაინტერესებულ პირს) შეატყობინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვისთვის მომზადებული ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე, წარუდგინა განსახილველი დოკუმენტები და მიიწვია საჯარო განხილვაზე - ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონით დადგენილ პროცედურებს და სამინისტროსთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს.

2.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის კ) პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის მხოლოდ ორი საფუძველი არსებობს: **ა) დაინტერესებული პირის განცხადება** (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.); ან **ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.**

კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად:

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს 76-ე მუხლის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან და შესაბამისად კოდექსის 78 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისათვის აუცილებელი დაინტერესებული პირის განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით ცალსახად დგინდება, რომ ზაკ-ის 76-ე და 78-ე მუხლებით გათვალისწინებული დაინტერესებული პირის განცხადება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ **2019 წლის 15 თებერვალს** წარუდგინა.

2.4 ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის 26-ე მუხლი „ნებართვის გაცემის ზოგადი წესი“ თანახმად:

1. ნებართვის გამცემი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და ამ კანონის შესაბამისად;

4. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მხოლოდ კანონით განსაზღვრული ნებართვის სახეებისათვის მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ნებართვის გამცემი ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

5. დაუშვებელია ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელება, თუ ნებართვის მაძიებელს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში არ ეცნობება ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელების თაობაზე.

6. თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ნებართვის გაცემა კანონით განსაზღვრულ ვადაში, ნებართვის გამცემის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ვადის დამატებით 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ნებართვის გამცემი ვალდებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის მაძიებელს.

7. თუ კონკრეტული ნებართვის სახე, რომლის გაცემის ვადის გაგრძელება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია, ხასიათდება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ფართო წრეს და ამ ქმედებით გათვალისწინებულ გარემოებათა დასადგენად არ არის საკმარისი 3 თვე, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას ნებართვის გაცემის ვადის კიდევ 3 თვით გაგრძელების შესახებ. თუ ზემოაღნიშნული პირობები არსებობს და ცნობილი გახდება ნებართვის გამცემისათვის განცხადების წარდგენისას, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას ნებართვის გაცემის ვადის 6 თვემდე გაგრძელების შესახებ.

8. ნებართვის გამცემის დასაბუთებული შუამდგომლობის გაზიარების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ვადის 3 თვით გაგრძელების შესახებ. ნებართვის გამცემი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ვალდებულია საქართველოს მთავრობას დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს განცხადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში და ვადის გაგრძელების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის მაძიებელს.

9. ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების 3 ან 6 თვემდე გაგრძელების შემთხვევაში ნებართვის გამცემი უფლებამოსილია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების ვადის 2 თვემდე გაგრძელების შესახებ.

10. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

11. ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სანებართვო მოწმობა. ნებართვის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სანებართვო მოწმობა.

თუკი, გავყვებით სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ თეორიას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული წარმოება სამინისტროში იწყება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საჯარო განხილვისთვის გზმ ანგარიშის პროექტის გამოქვეყნებისას, გამოდის რომ სამინისტრომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებისას დაარღვია ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის ზემოთმოყვანილი ყველა მოთხოვნა. ამასთან სამინისტროს არ აქვს პასუხი ამ დარღვევის მიზეზების შესახებ. ხოლო თუკი, ამ თეორიის სისწორეში დავეთანხმებით სამინისტროს გამოდის, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის ამ მოთხოვნებს სამინისტრო ყოველთვის არღვევდა. ხოლო იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები არ დაერღვია, სამინისტროს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ საჯარო განხილვის ჩატარებამდე (საჯარო განხილვა ტარდებოდა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 დღისა) 20 დღეში უნდა მიეღო - რაც რა თქმა უნდა არ შეესაბამება სინამდვილეს.

2.5. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება № 14

მუხლი 3

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით განსაზღვრულ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (შემდგომში – ნებართვა)/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს, ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების ინტეგრირებულ შეფასებას.

2. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შედეგის პროცედურა ტარდება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, მომავალი სამეურნეო განვითარების ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველსაყოფად. იგი წინ უძღვის საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საქმიანობის მიზანშეწონილობისა და შესაბამისი პროექტის განხორციელებაზე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 6

1. ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროში წარდგენილ განაცხადში, წინასაპროექტო დამასაბუთებელი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებს, ჩამოყალიბებულს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სახით.

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;

ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას;

გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს;

დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;

ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;

ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;

ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;

თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;

- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
 - კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
 - ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;**
 - მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას;
 - ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას;
 - ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
 - პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები);
 - ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;
 - რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა.
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთოდეს:
- ა) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებზე;
 - ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**
 - გ) გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებათა გეგმები;
 - დ) ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - ე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით საზოგადოების მონაწილეობის პროცესისა და ინფორმირების უზრუნველსაყოფად;
 - ვ) იმ ორგანიზაციების ან საკონსულტაციო ფირმების დასახელება და იურიდიული მისამართები, რომლებიც მონაწილეობდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებაში და მისი შედეგების მომზადებაში;
 - ზ) მოკლე ცნობები პროექტის განხორციელების მიზნებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე;
 - თ) ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, ალტერნატიული ვარიანტების გათვალისწინებით;
 - ი) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს არსებული მდგომარეობის მოკლე აღწერა;
 - კ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები, სიტუაციური რუკა და გენ-გეგმა, სადაც დატანილი იქნება საწარმოო მოედანი, დროებითი შენობა-ნაგებობები, კომუნიკაციები და ზემოქმედების წყაროები;
 - ლ) საპროექტო გადაწყვეტათა შემუშავების პროცესში გამოყენებული ლიტერატურა (წყაროს მითითებით), საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი;
 - მ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ამტკიცებს სამინისტროს მიერ შემოთავაზებული თეორიის აბსურდულობას იმასთან დაკავშირებით, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვისას (ანუ ანგარიშის მომზადებისას) სამინისტროში უკვე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება გადაწყვეტილების მიღებისათვის.

2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საგულისხმოა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუკი საქმიანობა საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფდა მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს ჩართვას სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი

წესით. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოება სწორედ ამ ეტაპზე იწყებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, სამინისტრო ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს ადმინისტრაციული წარმოება მანამდე დაიწყო ვიდრე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი განცხადებით მიმართავდა მშენებლობის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. **გაუგებარია, საერთოდ რა ტიპის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სსპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 15 თებერვლის მიმართვის საფუძველზე.**

2.7. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის სრულებით კანონსაწინააღმდეგოდ ხელმძღვანელობის შედეგად, ერთის მხრივ, სს „ონის კასკადმა“ და მეორეს მხრივ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თავი აარიდეს გარემოს ზემოქმედების შეფასების სრულფასოვნად ჩატარებისათვის „**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-6 მუხლით** დადგენილ ეტაპებს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ა) ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა;
- ბ) საქმიანობის განმარტების ან კონსულტანტის მიერ გზშ-ის ანგარიშის მომზადება ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად;
- გ) საზოგადოების მონაწილეობა;
- დ) სამინისტროს მიერ გზშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმარტების მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება;
- ე) ექსპერტიზის ჩატარება ამ კოდექსის VI თავის შესაბამისად“.

2.8 წარმოების ვადები - სამინისტროს განმარტების თანახმად (დანართი 10), „2019 წლის 15 თებერვალს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა სს „ონი კასკადის“ „მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტი თანდართული დოკუმენტაციით. პროექტის სირთულის გათვალისწინებით და საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნებიდან გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა **2019 წლის 25 აპრილამდე. 2019 წლის 17 ივნისის წერილით**, სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ეცნობა, რომ სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ კომპანიის მხრიდან დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას. შესაბამისად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით დადგენილი ვადის გაზრდა **2019 წლის 20 სექტემბრამდე“.**

წარმოდგენილი მასალების სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების მეორედ გაზრდის შესახებ 2019 წლის 27 ივნისს მიიღო. ანუ 2019 წლის 25 აპრილს ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა, მაგრამ 2019 წლის 20 ივნისს კვლავ გაგრძელდა. ამასთან ჯამში, ადმინისტრაციული წარმოება ოთხჯერ გაგრძელდა, მაშინ როდესაც კანონი ვადის სამჯერ გაგრძელების უფლებას იძლევა.

3. განსახილველი დოკუმენტებისა და მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი

არამართო განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები, არამედ საექსპერტო კომისიის დასკვნები (15, 16, 17 დანართები) თავად გასაჩივრებული აქტის ტექსტი (გადაწყვეტილების პირობები) ნათელყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ მოიცავდა არც კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილ ინფორმაციას და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების განსაზღვრულ ინფორმაციას (თუკი გავიზიარებთ სამინისტროს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ განხილვა უკვე ძალადაკარგული „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონით უნდა მომხდარიყო) და გარემოზე ნებართვის მფლობელს ამ ინფორმაციის წარმოდგენა პოსტ ფაქტუმ დაევალა. ასე, მაგალითად:

3.1 გზმ ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, კვლევისათვის გამოყოფილი მეთოდოლოგია და განსაკუთრებით დრო (პერიოდი) არ შეესაბამება / არასაკმარისია ობიექტური და სრულყოფილი მასალის მოსაპოვებლად. მაგალითად, გზმ ანგარიშის თანახმად, უხერხემლოების კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ 2 დღე, ნოემბერში, ისიც უამინდობის პირობებში. იქტიოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ სეზონში, 2016 წლის ოქტომბერში.

წარმოების მასალებში წარმოდგენილია დამატებითი დოკუმენტები, რომელიც თითქოსდა ამტკიცებენ, რომ გზმ ანგარიშის დამატებით კიდევ რაიმე კვლევები ჩატარდა, თუმცა სინამდვილეში, იგივე გზმ-ში მოცემული ინფორმაცია მეორდება.

მაგალითად, დამატებით მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტი „იქტიოლოგია“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს გზმ-ში მოცემულ კვლების მეთოდებს და შედეგებს: კითხვარებით გამოკითხულია ერთიდაიგივე 5 მოქალაქე (მეთევზე), სავლელ გასვლის დროს დაჭერილია ზუსტად იგივე სახეობის თევზები - იგივე რაოდენობით. ცხრილების სახით მოცემული ინფორმაცია იდენტურია გზმ ანგარიშსა და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტში,

- დანართში მოცემული „დიაგრამა 6.1.მდ.რიონის საპროექტო მონაკვეთზე მოპოვებული ინდივიდების პროცენტული მაჩვენებელი“ არის იგივე რაც გზმ-ში მოცემული დიაგრამა 5.2.4.4.6.1.
- დანართში მოცემული „ცხრილი 6.1. მოპოვებული ინდივიდების ბიოლოგიური ანალიზი“, იგივეა რაც გზმ-ში მოცემული ცხრილი 5.2.4.4.6.1.
- დანართში მოცემული „კალმანის საკვები რაციონის ძირითადი შემადგენელი ჰიდრობიონტების პროცენტული გადანაწილება ცხრილი 6.1.1.“, იგივეა რაც გზმ-ში მოცემული ცხრილი 5.2.4.4.7.1
- დანართში მოცემული „ცხრილი 6.1.2. მდინარე რიონის საპროექტო მონაკვეთში გავრცელებული თევზების, სატოფო და კვებითი მიგრაციის პერიოდების მაჩვენებლები“, იგივეა რაც გზმ-ში ცხრილი 5.2.4.4.7.2
- დანართში მოცემული ქვეთავი „6.2. მდ. რიონის კრიტიკული წერტილები და მათი დანასიათება“, იგივეა რაც გზმ-ში მოცემული ქვეთავი 4.2.4.4.8.
- დანართში მოცემული ქვეთავი „6.3. წყლის ხარისხის კვლევის შედეგები“ უცვლელად, სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი გზმ-დან - გვ. 371 ბოლო აბზაცი

ზემოაღნიშნული უდავოდ მოწმობს, რომ არანაირი დამატებითი კვლევა არ ჩატარებულა.

3.2 გზმ ანგარიშში აღიარებულია, რომ ზოოლოგიური, განსაკუთრებით იქტიოფაუნასთან დაკავშირებული, საკითხები „არასაკმარისად არის შესწავლილი. ამიტომ, რთული სათქმელია თუ რა დონეზე და რამდენად სწრაფად მოყვება მდინარის ეკოსისტემის სულ უფრო მზარდ დანაწევრიანებას ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების საპასუხო რეაქცია. ასევე უცნობია დღეისათვის, არსებობს თუ არა ის ზღვრული დონე, რომლის მიღწევის შემდგომ დამატებითი კამხლის მშენებლობისას არ მატულობს კრიტიკული ზემოქმედება“. იქვე აღნიშნულია: „ზემოქმედება წყლის ეკოსისტემებზე, მის ბიომრავალფეროვნებაზე წარმოადგენს კომპლექსური ზემოქმედების ერთობლიობას და ამრიგად პროგნოზირება დაკავშირებულია სირთულეებთან თუ-კი არ არსებობს ან არასაიმედოა საწყისი ინფორმაცია“. ამგვარი „აღიარება“ კი არის იმის საფუძველი, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრმა მიეღო გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია ასეთ არასრულყოფილ მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდეს, რომ ამ საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს. მით უმეტეს, დამატებითი კვლევები იქთიოფაუნაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ჩატარებულა.

3.3. გარემოსდაცვითი ხარჯის საკვლევი უბნების რაოდენობა არასაკმარისია. გამოყენებულია არა თანამედროვე, ევროკავშირის წყლის ღირებულების შესაბამისი, არამედ საბჭოთა პერიოდის მეთოდოლოგია - „ძირითადი საპროექტო და სამშენებლო წესები“ - СП33-101-2003, „Определение основных расчетных гидрологических характеристик“. შესაბამისად, განხილულია წყლის ხარჯის მხოლოდ ერთი ე.წ. 10%-იანი ვარიანტი.

დამატებითი დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი „ონის ჰესების კასკადის სათავე ნაგებობების ქვედა ბიეფში გასატარებელი მინიმალური ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშება“, რომელიც პრაქტიკულად იმეორებს გზმ-ს ანალოგიურ მონაცემებს. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გამოყენებულია საბჭოთა პერიოდის მოძველებული მეთოდოლოგია. „გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგია ღრემდე არ არსებობს, შესაბამისად ჰესების კასკადის ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშებით, მინიმალური ეკოლოგიური ხარჯები, განისაზღვრა ქვეყანაში პრაქტიკულ გამოყენებაში არსებული მეთოდით, კერძოდ: მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრა რიონის 50%-იანი უზრუნველყოფის მრავალწლიური საშუალო ხარჯის 10%-ის ოდენობით“.

ამ დოკუმენტის მე-5 გვერდზე თავად მისი ავტორები აღიარებენ, რომ „კაშხლების ქვედა ბიეფში მობინადრე წყლის ბიოლოგიურ გარემოსათვის შექმნილი იქნება მინიმალური საარსებო გარემო“. „მინიმალური საარსებო გარემო“ კი ნიშნავს ბიომრავალფეროვნების, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული სახეობების საბინადრო გარემოს შეუქცევად დეგრადაციას.

ამ დოკუმენტში მოყვანილი მაგალითები ევროპაში არსებული პრაქტიკის შესახებ არ არის სარწმუნო, რადგან არ არის დამოწმებული ციტატებით და შესაბამისი ლიტერატურა არ არის მითითებული.

სახეობები (მათი პოპულაციები და ჰაბიტატები), ასევე ჰაბიტატების ტიპები, რომლებზეც პროექტმა შეიძლება გავლენა იქონიოს აღწერილია ხარვეზებით. ბოტანიკური და ზოოლოგიური ნაწილში მოცემული ჰაბიტატების შეფასებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია.

არასაკმარისადაა გამოკვლეული ბერნის კონვენციითა და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობის - წავის პოპულაცია და ჰაბიტატი. ამ სახეობის ძირითად საფრთხედ მიჩნეულია შემცირებული საკვები ბაზა, რასაც მდინარის ჩამონადენის კლება გამოიწვევს. ამის ფონზე, შემარბილებელ საშუალებებად სრულიად შეუსაბამო ღონისძიებებია შემოთავაზებული.

3.4 პროექტში აღიარებულია, რომ „ზემოქმედების არეებზე, მათ შორის, ტყიან ტერიტორიებზე პრაქტიკულად შეუძლებელია ადრინდელი ბუნებრივი კორომების აღდგენა და შენარჩუნება იმ სახით, როგორც იყო მშენებლობამდე. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში რეკომენდირებულია ოფსეტური ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობს ექვივალენტური ტყის ჰაბიტატების ან სხვა ტიპის ეკოსისტემების/მცენარეულობის თანასაზოგადოებების აღდგენას“. თუმცა, იქვე მეორდება კომპანია „გამას“ მიერ შესრულებულ არაერთი ანგარიშიდან კოპირებული ფრაზები, “უდანაკარგო”, “წმინდა მოგების პრინციპისა” და “ჰაბიტატი-ჰექტრის” მიდგომებზე. როგორც წესი, ასეთი სახით ეკო-კომპენსაციების საკითხები გზმ დოკუმენტში შეტანილია იმისათვის, რომ შეიქმნას გარკვეული ილუზია, გარემოზე მიყენებული თითქოს ზიანი სათანადოდ კომპენსირდება. ტრადიციულად, ასეთი მსჯელობა ძალზე არალოგიკურად და ფორმალურადაა ჩასმული გზმ დოკუმენტებში.

პრაქტიკულად, არ არის ცნობილი ამ მეთოდის გამოყენების არც ერთი შემთხვევა ჰესის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაზეც შესაბამისი სამინისტრო ყოველთვის თვალს ხუჭავს.

3.5. ჰესის პროექტი გამოიწვევს მნიშვნელოვან ვიზუალურ დაბინძურებას. ამას გამოიწვევს წყლის მნიშვნელოვანი ნაკადის სადაწნეო მილსადენში გადაგდების შედეგად 25 კილომეტრიან მონაკვეთზე თითქმის გამქრალი მდინარე, სანაყაროები და გადამცემი ხაზები. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები (როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი ნაგებობების ფერის და ღიზანის შერჩევა მოხდება ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან), სრულიად არაადეკვატურია.

3.6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ტექსტში აღნიშნულია: „ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უფლებამოსილი ორგანოსგან რამდენჯერმე (3 ჯერ) იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის არსებობის და კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნების/წინადადებების წარმოდგენის მიზნით. 2020 წლის 10 მარტს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომ „ონი 1 ჰესის“ საპროექტო ტერიტორია კვეთს „უწერის“ ნახშირმყავა მინერალური წყლის საბადოს მეორე (შეზღუდული რეჟიმის ზონა) სანიტარიული დაცვის ზონას. „უწერის“ მინერალური წყლის საბადოზე 2018 წელს, 25 წლის ვადით, შპს „ბი ჯი ინვესტიმენტზე“ გაიცა შესწავლა-მოპოვების ლიცენზია (№1005499). ამასთან, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულია მეორე ზონის საზღვრებში აკრძალული და დაშვებული სამუშაოების ჩამონათვალი. ასევე, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ კვეთს ქვიშა-ხრემის მოპოვების განაცხადის (ID 45849_1056) სალიცენზიო კონტურს, რომელზეც გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10000370 ლიცენზია 2022 წლამდე მოქმედების ვადით. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. ამასთან, სამინისტროში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 17 მარტის წერილით ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ენერგეტიკულ პროექტს.

ანუ, სამინისტროს განმარტებით, ის ფაქტი, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის თანახმად, ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ენერგეტიკულ პროექტს, შესაძლებელია „**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე**“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა და ლიცენზიანტის უფლებების შეზღუდვა.

3.7 კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად:

1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა მოიცავდეს:

- ა) ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილისა და საქმიანობის სახის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის გაცემის დროს;
- გ) პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ;

- დ) ინფორმაციას საქმიანობის შემდგომი ანალიზის მიზნის, მასშტაბისა და პერიოდულობის შესახებ;
- ე) ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებით ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელების შემთხვევაში – ინფორმაციას აღნიშნული პროცედურის შედეგების შესახებ.

2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს:

- ა) მოთხოვნებს საწარმოო ავარიის შედეგად ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად;
- ბ) საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ვალდებულებას ან/და შესაბამისი კომპენსაციის ვალდებულებას;
- გ) ამ კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო ღონისძიებებს ან/და შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. საკომპენსაციო ღონისძიებების ბენეფიციარია აღნიშნული ორგანო;
- დ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შესაძლოა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა **მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ**, თუმცა, არ არსებობს ნორმა, რომელიც სამინისტროს მიანიჭებდა უფლებამოსილებას ნებართვის მაძიებელს დაუდგინოს პირობები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა **მშენებლობის დაწყებამდე**. მითუმეტეს, ისეთი ინფორმაციის წარმოდგენის და ვალდებულებას, რომელიც არსებობას გადაწყვეტი მნიშვნელობა სწორედ გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდა.

3.8 წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლებელია პროექტმა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ხელმისაწვდომობას წყალზე, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიღებული გადაწყვეტილებით უგულებელყო გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე **საქართველოს კონსტიტუციით** დადგენილი ვალდებულება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე; სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

4. საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

4.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული იყო **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის** მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყო საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა - რასაც ადგილი არ ჰქონია.

უნდა აღინიშნოს რომ სამინისტროს მიერ პროექტის შესახებ ინფორმაცია „ქვეყნდებოდა“ მხოლოდ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად ძნელად მისაგნებ განყოფილებაში, სადაც ინფორმაციის ნახვა მხოლოდ ამ კონკრეტული განყოფილების პერმანენტულად თვალყურის შემთხვევაშია შესაძლებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის უშუალო შემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის საერთოდ უცნობი დარჩა სამინისტროში თავდაპირველად წარდგენილი დოკუმენტები, მოთხოვნის საფუძველზე დამატებით წარდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების შინაარსი, ვინაიდან ამ დოკუმენტების გაცნობისა და კომენტირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია ადგილზე არ გავრცელებულა. ასევე, არც საწყისად წარდგენილი და არც განახლებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც მოხდა საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღება არ გამხდარა საჯარო სხდომაზე განხილვის საგანი.

4.2 “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

4.3 „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას”.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას”.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე”. როგორც აღმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

საქმეში მესამე პირად ჩაერთოს სს „ონის კასკადი“.

არგუმენტაცია: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ეხება, სს „ონის კასკადის“ სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას. შესაბამისად, სს „ონის კასკადი“ (ს/კ 402013904, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი ბელაშვილის ქუჩა N100ა) წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს აღნიშნული დავის მიზნებისთვის.

დაჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებულ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input checked="" type="checkbox"/>
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:	
5.	

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ	<input type="checkbox"/>	მტკიცებულება:
არა	<input checked="" type="checkbox"/>	რადგან გასაჩივრებული აქტის თანახმად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ

მორიგების პირობები:

არა

რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	<input type="checkbox"/>
არა	<input checked="" type="checkbox"/>

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>
არა	<input type="checkbox"/>

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00
--------------------	---------------------------	---------------

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>
არა	<input type="checkbox"/>

რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. სს „ონის კასკადის“ განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე - 2 ფურცელი;
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის N1442/01- 6 ფურცელი;
3. მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 5 თებერვლის წერილი - 9 ფურცელი;
4. 2019 წლის 18 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - 2 ფურცელი;
5. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 15 თებერვლის წერილი - 1 ფურცელი;
6. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში შესული კორესპონდენციის რეესტრი - Excel-ის ფაილი;
7. მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები ონის მუნიციპალიტეტში სს „ონის კასკადის“ მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - 2 ფურცელი;
8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - 2 ფურცელი;
9. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 მარტის N2-283 - 2 ფურცელი;
10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 13 სექტემბერის წერილი - 3 ფურცელი;
11. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - 3 ფურცელი;
12. სამინისტროს 2019 წლის 17 ივნისის N6081/01 წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „ონის კასკადს“ - 4 ფურცელი;

13. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება - 2 ფურცელი;
14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-24 ბრძანება - 2 ფურცელი;
15. საექსპერტო დასკვნა მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ს ანგარიშის ბიომრავალფეროვნების ნაწილზე, 04.03.2020 - 1 ფურცელი;
16. საექსპერტო დასკვნა და კომენტარები მდ. რიონზე ონის ჰესების მშენებლობისა და ფუნქციონირების ეტაპებზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებით წარმოდგენილ მასალებზე, მალხაზ მიმინოშვილი, 04.03.2020 – 2 ფურცელი;
17. საექსპერტო დასკვნა მდ. რიონზე ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილზე - 3 ფურცელი;
18. „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი -122 .4 მგვტ; ონი 2 ჰესი- 83.7 მგვტ), მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანება - 13 ფურცელი;
19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N4350/01 წერილი - 1 ფურცელი და 1 zip ფაილი;
20. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
21. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
22. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 59

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	6 მაისი, 2020
--	---	---------------

ხელმოწერა

ხელმომწერის სახელი და გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.